სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/18 ბრძანება 26.02. 2021 წელი

უნივერსიტეტში დოქტორანტურის მიმართულებით ფაკულტეტების ადმინისტრაციებისათვის უფლება-მოვალეობების გადაცემის შესახებ

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე (№ 01-04/16 26.02.2021) „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის განყოფილებაში არსებული დოკუმენტების აღრიცხვა - გადაბარების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 15 თებერვლის №01-04/10 ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო კომისიის მიერ შედგენილი აღრიცხვისა და გადაბარების აქტით გადაცემული დოკუმენტების თაობაზე, ვბრძანებ:

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოქტორანტურის განყოფილების უფლება-მოვალეობები გადაეცეს შესაბამისი ფაკულტეტის ადამინისტრაციას ;
2. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ასოც. პროფ. თ. კორძაძეს მოამზადოს პროექტი სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
3. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს ფაკულტეტს დებულებაში შეიტანონ ცვლილებები დოქტორანტურის მიმართულებით სწავლა/სწავლება-მართვასთან დაკავშირებით;
4. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს დოქტორანტურაში სასწავლო ცხრილების ფორმირება და სასწავლო პროცესის განხორციელება;
5. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს დოქტორანტურის მიმართულებით ფაკულტეტებზე განსაზღვრონ სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობანი;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

7. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე;

8. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი: უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება № 01-04/16 26.02.2021

რექტორი პროფესორი როლანდ კოპალიანი

სახწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი პროფესორი იმერ ბასილაძე